სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

დოდო ნადირაძე[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
https://doi.org/10.52340/sou.2023.21.08

სეხნია ჩხეიძის ქრონოლოგიური ჩანაწერების სანდოობის საკითხი ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიაში შესწავლილია XVIII საუკუნის I ნახევარში მცხოვრები ქართველი მემატიანის სეხნია ჩხეიძის ,,ცხოვრება მეფეთა"-ს ქრონოლოგიური ჩანაწერები, რომლებშიც თვითმხილველის თვალით გადმოცემულია აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარება. წყაროში ეს მოვლენები ავტორს ქრონიკების სახით აქვს წარმოდგენილი, ჩვენ კი შეგნებულად გავაერთიანეთ ერთ თემად, რადგან მკითხველს უკეთ გაეცნობიერებინა ამ პროცესების სიმძიმე აღმოსავლეთ საქართველოსთვის: ,,ოსმალობა", „ლეკიანობა", „ყიზილბაშობა". XVII – XVIII საუკუნეები ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში ძირითადად ნგრევა-აწიოკებისა და საგარეო მტრების წინააღმდეგ ომების ხანა იყო. ქვეყნის პოლიტიკური დაშლას ხელს უწყობდა გარეშე მტრის შემოსევები. XVIII საუკუნის დასაწყისიდან ლეკები ქართლ-კახეთს ხშირად უტევდნენ, ხოლო ოსმალთა ბატონობის დროს, 1923 წლიდან, მათი შემოსევები უფრო პერმანენტულ ხასიათს ღებულობს. სპარსეთის დასუსტების პირველ ხანებში ირანი ლეკებს ქართული სამეფოების წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდნენ , მაგრამ მოგვიანებით, ლეკები მთლიანად იწყებენ ამიერკავკასიაში სპარსული სამფლობელოების დარბევას და შაჰი დასახმარებლად ქართველ მეფეებს მიმართავდა.

დაღესტნიდან მტაცებლური რაზმების მოგერიება, მათ მიერ ქალაქების, სოფლების აწიოკება და სარჩო -საბადებლის მიტაცება დეტალურად აქვს აღწერილი სეხნია ჩხეიძეს. ამ ავაზაკურ თავდასხმებს თავგანწირვით ებრძოდა ქართული მოსახლეობა, მაგრამ მტრის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას აძნელებდა,

[1] **დოდო ნადირაძე.** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.

როგორც ქვეყნის შიდა შეუთანხმებლობა, ასევე, ჯერ ოსმალეთისა და შემდეგ ყიზილბაშების გაუსაძლისი პოლიტიკა. სეხნია ჩხეიძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა შეძლო ისტორიული ფაქტების რეალური აღქმა ქრონოლოგიურად დალაგება და მარტივი ენით გადმოცემა.

საკვანძო სიტყვები: ქართლს სამეფო, კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, ოსმალობა, ყიზილბაშობა, ლეკიანობა, ქსნის ხეობა, ახალციხის საფაშო, აჯანყება და სხვ.

Dodo Nadiradze[2]
Sokhumi State University

The Issue of Reliability of Sekhnia Chkheidze's Chronological Records According to Georgian and Foreign Sources

Abstract. The previous article covers the difficult political situation created in Eastern Georgia in the first half of the 18th century according to Sekhnia Chkheidze's "Life of Kings". In the source, the author presented these events in the form of chronicles, and we deliberately combined them into one topic, so that the reader could better understand the severity of these processes for Eastern Georgia: "Ottomanism", "Lekianism", "Kyzilbashoba". XVII-XVIII centuries in the historical life of the Georgian people were mainly the era of destruction and wars against foreign enemies. The political disintegration of the country was facilitated by the invasions of the foreign enemy. From the beginning of the 18th century, the lezgins often attacked Kartl-Kakheti, and during the Ottoman rule, from 1923, their invasions became more permanent. In the early days of the weakening of Persia, Iran used the Lezgins in the fight against the Georgian kingdoms, but later, the Lezgins started raiding the Persian dominions in Transcaucasia and the Shah turned to the Georgian kings for help.

Sekhnia Chkheidze has described in detail the repelling of predatory groups from Dagestan, their raiding of towns and villages and their abduction of food sources. The Georgian population selflessly fought against these hooligan attacks, but the effective fight against the enemy was made difficult by internal disagreements of the country, as well as by the intolerable policy of first the Ottomans and then the Kizilbashis. Sekhnia Chkheidze was the first in Georgian historiography to arrange the real perception of historical facts chronologically and convey them in simple language.

Keywords: Kingdom of Kartli, Kingdom of Kakheti, Kingdom of Imereti, Ottoman Empire, Kizilbashoba, Lezgins, Ksani Gorge, Akhaltsikhe Sapasha, Rebellion, etc.

---

[2] **Dodo Nadiradze**. Doctoral student of the PhD program in Georgian History at Sokhumi State University.

შესავალი. კვლევითი მიზნების განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს XVII–XVIII საუკუნის ავტორის, სეხნია ჩხეიძის ,,ცხოვრება მეფეთა". ამ ნაშრომის საკმაოდ დიდი ნაწილი ეძღვნება ირანს, ოსმალეთს, დაღესტანს, ავღანეთს და საქართველოს. სწორედ აღნიშნული ნაშრომის ანალიზი და მისი მონაცემების შეჯერებაა კვლევის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება. ნაშრომის მიზანს ასევე წარმოადგენს სეხნია ჩხეიძის ქრონოლოგიური ჩანაწერების სანდოობის საკითხი ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით.

ყოველივე ზემოთ თქმული, სტატიას აქტუალობას და სამეცნიერო სიახლეს ანიჭებს. წყაროში განხილული მოვლენებიდან განსაკუთრებით ყურადღებს იქცევს ქართულ სამეფოებში მიმდინარე პოლიტიკური ქაოსი და დაპირისპირება. ავტორი დეტალურად და თანმიმდევრობით მოგვითხრობს სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენების შესახებ. სეხნია ჩხეიძის თხზულება შინაარსობრივად არა მარტო ომებსა და მეფეთა ცხოვრების ამბებს ასახავს, არამედ მასში გადმოცემული ისტორიული ფაქტები მაღალ ნდობას იმსახურებს, რადგან თვითმხილველის მიერაა მოთხრობილი და კონკრეტული დასკვნების საშუალებას იძლევა.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია ისტორიული კვლევის კომპარატიული მეთოდი, რაც გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოძიებას, პროცესების მთავარი მახასიათებლების წარმოჩენას და მათ ანალიზს, პირველადი წყაროების მონაცემთა შეჯერებას საერთო დასკვნის გამოტანის მიზნით.

დისკუსია. XVIII საუკუნის დასაწყისიდან ლეკები სამხრეთ კავკასიას ხშირად უტევდნენ, ხოლო ოსმალთა ბატონობის დროს, 1923 წლიდან, მათი შემოსევები ქართლ-კახეთის სამეფოში სისტემატიურ ხასიათს ღებულობს. ჯერ კიდევ, ისპაჰანის დაცემამდე, ცოტა ხნით ადრე, კახეთის მეფე დავით II და ქართლის მეფე ვახტანგ VI ლეკებზე სალაშქროდ მოემზადნენ, რადგან ყიზილბაშებთან ერთად შეეტიათ ლეკებისათვის, მაგრამ მოულოდნელად შაჰმა ვახტანგს ლაშქრობა დაუშალა. ქართველი ისტორიკოსის , სეხნია ჩხეიძის გადმოცემით, ირანის შაჰს შეეშინდა*: „თუ მეფე ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერსო"* (სეხნია,1913:54).

ვახტანგ VI-ის დამოუკიდებელმა პოლიტიკამ და პეტრე I-თან კავშირმა გაართულა ურთიერთობა ირანთან, თავრიზში ელჩად მყოფი მოლარეთუხუცესი „ჩხეიძე სეხნია, დაატყვევეს" (სეხნია,1913:57). ოსმალებსაც, უკვე დაწყებული ჰქონდათ ქართლის დაკავება და ამას დაემატა ვახტანგსა და კახეთის მეფე კონსტანტინე II-ს შორის გართულებული ურთიერთობა. 1723 წელს მაჰმად ყული ხანი (კონსტანტინე II, დავით II-ის ძმა) ირანის დახმარებით ქართლში გამეფებას ახერხებს და თბილისს მიადგება. ვახტანგ „რა ჰსცნა ამბავი აჰყარა დედოფალი და ბარგი მძიმე და გაგზავნა გორს, შეიქმნა იმათგან სროლა და ციხიდამ ზარბაზნისა" (სეხნია,1913:-57). კახეთის მეფე მხოლოდ ლეკების დახმარების შემდეგ დაეუფლება თბილისს

„ეშოვნა ლეკთა ჯარი და აღეთქუა მისაცემი მრავალი კახთა ბატონსა“ (სეხნია,1913:-59). ვახტანგმა ჯარის სიმცირის გამო თავდაცვა ვეღარ შეძლო და „წაბრძანდა გორსა. ძე მისი ბაქარ წავიდა დუშეთს“(სეხნია,1913:59). ჯერ კიდევ ვახტანგის თბილისიდან წასვლამდე, იგი მოელაპარაკა იბრაჰიმ ფაშას, რომელიც ყარსიდან შემოდის ქართლში და დაიკავებს თბილისს. ოსმალებს თბილისში მიეგებნენ ბაქარი და იესე (ვახტანგ VI -ის ძმა). მაჰმადყული ხანი, რომელიც შაჰის პოლიტიკის გამტარებელი იყო, იძულებული გახდა ქალაქის „კლიტენი ციხისანი“ მიერთვა იბ-რაჰიმ ფაშასთვის. ოსმალებმა ქართლი ბაქარს ჩააბარეს, ხოლო მაჰმად ყული ხანი დააატყვევეს (სეხნია,1913:60*). „მისცეს მეფეს ბაქარს ქართლი და შექმნეს რჯულისა მისისა მოსავი და დახურეს ყაუხი და დაარქვეს იბრეიმ ფაშა“,* განმარტავს სეხნია (სეხნია,1913:60). კონსტანტინე ახერხებს გაქცევას და კახეთის დაკავებას, ხოლო იბრაჰიმ ფაშამ გააძლიერა ზეწოლა და თვალთვალი ბაქარზე, რის გამოც ბაქარს *„შექმნა ჭმუნვა და შეუძლებლობა ურუმთა შიგან“* და ცოტა ხნის შემდეგ ისიც „მივიდა ქცხინვალსა მამასთანა“ (სეხნია,1913:62). ბაქარმა ვერ გაუძლო ოსმალთა ზეწოლას და მამის კვალს დაადგა. ქართლის მმართველად ოსმალებმა ახალციხის ფაშა ისაკი დანიშნეს. საფიქრებელია, რომ ოსმალეთის მთავრობის არცთუ შორეული მიზანი ქართლის საფაშოდ გადაქცევა იყო. ქართლში შემოსული დამპყრობლები თავიანთი პოლიტიკის გატარებას შეუდგნენ. ოსმალებმა *„აღწერეს ქართლი სრულიად და დასდვეს ხარკი კაცს სულზედ დრაჰკანი, ცხვარზედ, ორი შაური, ზროხაზედ აბაზი, კამბეჩსა და ცხენზედ ექვსი შაური, მოსავალსა ზედა ხუთის თავი ხილითურთ“,* ქართლში „ოსმალობა“ დაიწყო (მეგრელიძე:1973:434).

XVIII ს-ის 20-იანი წლებიდან დაღესტან-ოსმალეთის ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება. ოსმალეთის ხელისუფლებამ არზრუმის სერასკირს იბრაჰიმ ფაშას უბრძანა ჯარი შეეგროვებინა და დახმარება აღმოეჩინა დაღესტნელი ბელადებისათვის (ყაზი-ყუმუხის მფლობელი სურხაი-ხანი). პოლიტიკური ვითარება კავკასიაში ძალზე არასტაბილური იყო.

იბრაჰიმ ფაშას 50-ათასიანმა ლაშქარმა თბილისი უბრძოლველად დაიკავა. აქედან მოყოლებული ქართლ-კახეთში მყარდება „ოსმალობა“, რომელიც 1735 წლამდე გაგრძელდა (გოგოლაური, 2020:114).). იბრამ ფაშას მიერ თბილისისა და შემდეგ განჯაზე გალაშქრების შესახებ ცნობები მოგვეპოვება სეხნიასთანაც: „მოვიდნენ სონღალუხს“ და *„წავიდა სარასკარი იბრეიმ ფაშა დასამონებლად განჯისა, დაუწყეს ლაპარაკი, დართვეს ნება განჯის მოქალაქეთა. შექნეს რჩევა: "თუცა ვძლიოთ ღუთითა და ხერხითა." შეუშვეს ჯარი ურუმისა, მივიდნენ მოედანსა განჯისასა, შეუკრეს ქუჩები განჯელთა, დაუწყეს ბრძოლა, ამოსწყვიტეს ურუმნი. გაიქცა სარასკარი, გაამაგრეს ქალაქი განჯისა“* (სეხნია,1913:61). ჩელები-ზადეს თხზულება საინტერესო წყაროა ამ პერიოდის ოსმალეთის რუსეთთან ირანთან და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიის საკითხების გასაშუქებლად. მას არანაკლები მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისთვისაც. მის თხზულებაში მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული 1723--1729 წლების საქართველოში თურქობის საკითხის

შესასწავლად. მასთან დეტალურად არის რეგისტრირებული საქართველოში მომხდარი ფაქტები...ჩელები-ზადე თავისი თხზულების დასაწყისში დაწვრილებით აგვიწერს ოსმალთა ლაშქრის მიერ 1722 წელს თბილისისა და გორის ციხის აღებას და ვახტანგის მიერ ოსმალეთისადმი დამორჩილების შესახებ ცნობის გაგზავნას. ეს ფაქტი კი დიდი ზეიმით იქნა აღნიშნული ოსმალეთში. საყურადღებოა მისი ცნობები ამ პერიოდში კახეთში ოსმალთა ლაშქრის მოქმედებისა და ლეკიანობის შესახებ სერააქერ, იბრაჰიმ ფაშას განჯაში გალაშქრების შესახებ (შენგელია, 1974:110

ბაქარის წასვლით ქართლში დამთავრდა ბაგრატიონ-მუხრანელთა დინასტიის მეფობა. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს შეხედულება, თითქოს ბაქარის თბილისიდან წასვლის შემდეგ გამაჰმადიანებულ იესეს ოსმალებმა ქართლი სამართავად ჩააბარეს. ამ ცნობას ქართული წყაროები არ ადასტურებენ, ს. ჩხეიძე მხოლოდ იესეს გამაჰმადიანებას ახსენებს: *„მაგრამ მეფემ იესემ აღარ გაჰყვა ძმასა, ჩავიდა ქალაქს, შეიქნა ოსმალის რჯულის* და *დაარქვეს მუსტაფა“* (სეხნია,1013:62). ვახუშტი ახსენებს რა იესეს გამაჰმადიანებას, არაფერს ამბობს ქართლში მისი მმართველობის შესახებ:*„ხოლო იესე მიიქცა სჯულსა მათსა ზედა, რამეთუ ოდეს ჰყრობილ იყო, მოიქცა ქრისტიანედვე და აწ ყო ესე, ვინაჲთგან იყო ჯორცთმოყუარე. ამისთჳს მიენდურნენ მას ურუმნი და წარმოავლინეს სპითა ღორისთავს მდგომს ბაქარსა ზედა“* (ვახუშტი,1973:507). ოსმალებს ქართლში მეფედ რომ იესე დაესვათ, ამის შესახებ ქართული წყაროები აუცილებლად გვაცნობებდნენ. ვფიქრობთ, მერყევი პოლიტიკის გამო ბოლომდე არ ენდობოდნენ ალი ყული ხან მუსტაფას და ქართლი ოსმალთა ფაშას ჩააბარეს. ამასობაში ჭარელმა ლეკებმა ახალი ძალით შეუტიეს კახეთს და ქართლს.

ოსმალთა ბატონობა მძიმე აღმოჩნდა ქართლ-კახეთის მოსახლეობისთვის, ამას ზედ დაერთო გახშირებული ლეკიანობა და მუდმივი თავდასხმები ჩრდილო კავკასიიიდან. ქართლი აღმოჩნდა ოსმალთა და ლეკთა საბრძოლო ასპარეზი, სადაც ქართველები და ოსმალები ერთად იბძოდნენ ლეკების განსადევნად. დაღესტან-ოსმალეთის ურთიერთობის საკითხს სეხნია ჩხეიძე 1730 წლიდან იწყებს: *„ქ~კს უიშ [1730], თიბათვის ი, გამოვიდა ლეკის ჯარი გულხადარადამ, აოხრეს ზემო ქართლი, საციციანო, აბუხალა, გუჯარეთი, თრიალეთი, ჯავახეთი, სომსრები, საბარათაშვილო თავით ბოლომდი, ქციის გაღმართი, დმანისისა ქვეითი, წავიდნენ უზიანოდ“* (სეხნია, 1913:66).

ამ მოვლენების შესახებ, სეხნია ჩხეიძის მსგავსად მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალას გვაწვდიან XVIII საუკუნეში ქართველი ისტორიკოსები: ვახუშტი ბაგრატიონი, პაპუნა ორბელიანი და ომან ხერხეულიძე „ცხოვრება მეფეთა“-ს წყაროს ობიექტურობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ამ მონაცემთა ურთიერთშეჯერება და ანალიზი. ვახუშტი სეხნიას დასახელებულ გეოგრაფიულ არეალებს თითქმის უცვლელად იმეორებს: *„არღარა დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლს და საციციანოს და ადგილ საბარათიანო- სომხითსაცა, თჳნიერ სიმაგრეთა, რამე თუ მუშა-*

კობადცა ჰარვით მალვით ჩამოვიდიან და მათი მხილველნი ივლტოდიან სიმაგრეთა. გარნა კუალად მრავალ-გზის მოსწყვდნეს ოსმალთა, ვითარ ვერღარა წინა აღუდგენენცა“ (ვახუშტი,1973:512). ხოლო მოგვიანებით პაპუნა ორბელიანიც შენიშნავს:*„დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთოებში, აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს, მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა და ყარაბუდახის შვილები სამშვილდესა ციხესა შინა. იყო ცემა ლეკთაგან მარადის და ოჯრება საქართველოსა შინა“* (პაპუნა,1981:298).

ირანის შაჰისაგან კონსტანტინეს სამართავად მიცემული ჰქონდა კახეთისა და ქართლის გარდა ყაზახი, შამშიდილუ და განჯა. 1724 წელს კახეთის მეფე ლეკებთან ერთად ოსმალებს შეება ყაზახში. დამარცხდა და ლტოლვილი მეფე ძლივს გადაურჩა მისივე „მოკავშირე“ ლეკთაგან შეპყრობას. 1725 წელს ქართლში დიდი აჯანყება იყო ოსმალების წინააღმდეგ. აჯანყებულები ისევ ირანიდან ცდილობდნენ დახმარების მიღებას... კონსტანტინემ შემოიყარა კახელები, თუშები, ფშავ-ხევსურები სდა ქართლს მოვიდა. ომი მოხდა გუფთას. მოღალატეებმა იესე-მუსტაფამ და ერასტი ყაფლანიშვილმა უშველეს ოსმალთ და მტერი დამარცხებას გადაარჩინეს. კონსტანტინე ჯერ ქსნის ერისთავს შანშეს შეეხიზნა, შემდეგ ფშავს გაიქცა. კახთა მეფე თავის ძმითა და კახელი თავად-აზნაურობით მთელ წელიწადს ხიზნობდა ფშავში (ბერძენიშვილი, 1973:316). ოსმალთა მძლავრობით შეჭირვებულმა კახეთის მეფე კონსტანტინემ ვერც ლეკთა გამუდმებულ ლაშქრობებს გაუწია წინააღმდეგობა და იძულებული გახდა ფშავში გახიზნულიყო. თუ პირველი შემოსევის დროს ლეკებს წინააღმდეგობა არ შეხვდათ, შემდეგი ლაშქრობის დროს ქართველთა და ოსმალთა ლაშქრმა და ლეკნი დაამარცხეს:,,წავიდა ისაკ ფაშა და იახლა ჯარი ურუმთა და ქართველთა, მიეწია ბაიდარში, შეიქნა ომი ფიცხელი, ბრძანებითა ღუთისათა გაემარჯვა ფაშასა, ამოსწყვიტეს ლეკნი“(სეხნია,1913:67). 1725 წელს კახეთის მოსახლეობამ ლეკები განდევნა და მიიწვია ფშავში გახიზნული კონსტანტინე II, რომელიც თელავს ჩავიდა და შეეცადა ლეკების გამოყენებას ოსმალების წინააღმდეგ. კონსტანტინე მოურიგდა მათ იმ პირობით, რომ კახეთით გზას მისცემდა იმ ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის საძარცვავად, რომელიც ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კონსტანტინე II იძულებული გახდა დაზავებოდა ოსმალებს: კახეთმა ოსმა-ლეთისათვის ხარკის მიცემა იკისრა, მაგრამ მხარეები არ ენდობოდნენ ერთმანეთს (მამისთვალიშვილი,2019: 467).

1731 წელს ქართლში ანტიოსმალურმა აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო. ხელმძღვანელად სწორედ შანშე ქსნის ერისთავი გვევლინება არაგვის ერისთავთან და მაჩაბელთან ერთად. როცა ოსმალებმა აჯანყების ჩახშობა შეძლეს. სეხნია ჩხეიძის მონათხრობით, ოსმალებმა *,,ქ~ჯს უით [1731], თვესა ივლისსა, შეუხდნენ ქსნის ერისთავს შანშეს კახი ბატონი, ურუმთა ჯარი და ქართველნი, მრავალი სული დაატყვევეს, დასწვეს სოფლები, კლდე თუ კოშკი და მესერი, საცხენისი და ქვაბები, დააქციეს ციხე ვანათისა, ბოლოს შემოეხვეწა ერისთავი შანშე და შეირიგეს, შეუხდნენ*

სამაჩაბლოს, აიღეს ციხე სვერისა და დააქციეს გაღმა გამოღმა ორივ ციხე. გარდიარეს მთა ოსეთისა, მიუხდნენ მუგუთსა“ (სეხნია,1913:67). ოსმალებმა ცხადია, მეთაურთა დასჯასაც გადაწყვეტდა. მათ თეიმურაზ არაგვის ერისთავის სამფლობელო დაარბიეს და მრავალი ადამიანი დაატყვევეს (სეხნია, იქვე).

ქართლი ოსმალების ხელში იყო და აქ შემოჭრილ ლეკებს უკვე მტრად უცქერდნენ, რის გამოც მათი შეჯახებები ხშირად სისხლისმღვრელი ბრძოლებით მთავრდებოდა. 1731 წლის ივლისში ლეკებმა კვლავ დალაშქრეს: ჯავახეთი, ზანავის ხეობა, ნუნისი ხარაგაულში, დაარბიეს ქვიშხეთი და საციციანო. *გადავიდნენ იმერეთში და საპასუხოდ შეიყარა „საბაშიოს“-ა და „საჩხეიძო“-ს ჯარი მოუჭრეს გზა ამოწყვიტეს ლეკნი და ალაფი დაყრევინეს, ხოლო ვინც გადარჩა და ქართლში გადმოვიდა ყველა დაიჭირეს და დასაჯეს* (სეხნია, 1913:68). დეკემბერს ლეკებმა ააოხრეს სურამი, ოსიური, სატივე, ოძისი, წრომი, ჭალას-საამილახვროს, მართალია ლეკებს 160 კაცი მოუკლეს, მაგრამ მათ შეძლეს ციხეში შეჭრა *,,ბოლოსა ჟამსა მოკლეს ერასტი, აიღეს გალავანი“ მრავალი ტყვე და საქონელი იგდეს ხელთ* (სეხნია,1913:68). ვახუშტი ბატონიშვილიც გადმოგვცემს საამილახვროში დატრიალებულ, სოფ. ჭალას ამბებს: *ლეკებს ერასტი ამილახვარი მოუკლავთ, გამოუყვანიათ ტყვეები და წასულან. ეს ამბავი სმენია ოსმალო ფაშა უსუფს (ახალციხის ფაშის ისაყის შვილს), რომელიც დადევნებია ლეკებს და მათთან ხელჩართული ბრძოლაც გაუმართავს. ლეკების ამ რაზმს ქართლში სათარეშოდ მომავალი სხვა თანამოძმეები წამოშველებიან და ოსმალები დაუმარცხებიათ* (ვახუშტი,1973:512). პოლიტიკურად სუსტი, მაგრამ მდიდარი რესურსების მქონე საქართველო დაღესტან მოსახლეობას საშუალებას აძლევდა სოციალური პრობლემები დროებით მოეგვარებინა. რუს გენერალ რუმიანცევთან შეხვედრისას 1731წ. დეკემბერში ამის შესახებ დაუფარავად ლაპარაკობდა მათი წარმომადგენელი: *„ქურდობა და ძარცვა-თარეში ჩვენი ხელობაა ისევე, როგორც თქვენთვის ხვნა-თესვა და ვაჭრობა. ძარცვა-რბევით ცხოვრობდა ჩვენი მამ-პაპა და თუ მათ ხელობას მივატოვებთ, რასაც ჩვენგან რუსები მოითხოვენ, შიმშილით დავიხოცებით“*(Потто,1885:43).

ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ყველაზე უმძიმესი ძნელბედობა ეს ლეკთა თარეში იყო. აღნიშნულ ოცდახუთ წლეულში (ლაპარაკია 1723-1747 წ.) ქართლ-კახეთში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, არც ერთი კუთხე, რომ ლეკებს არ აეოხრებინათ, არ გაეძარცვათ (ბერძენიშვილი,1973:308). ქართლში ლეკთა და ოსმალთა დაპირისპირების შესახებ სეხნია ჩხეიძე კვლა აგრძელებს თხრობას, მისი სიტყვებით, 1732 წლის დეკემბერში ლეკები თავს დასხმიან გომარეთის ხეობას, გომიჯვანსა და ქსოვრისს, ლეკებს დადევნებია გივი ამილახვარი, თარხანი ლუარსაბ და *„მცირე ურუმთ ჯარი“*. ქართლში უმეფობის ხანაში გივი ამილახვარი წარმატებული სამხედრო ფიგურა ჩანს ლეკებთან ბრძოლებში. 1732 წელს ლეკებმა ტეზერი, ბეკამი, გვერდისუბანი აიკლეს და დიდძალი ნადავლი იშოვეს, წრომში გადავიდნენ, სადაც გორის ფაშა დაამარცხეს და მოკლეს. გათამამებულ

ლეკებს მეჯვრისხევთან გივი ამილახვარი დახვდა, დაამარცხა და მთლიანად ამოწყვიტა. იმავე წლის ზაფხულში გივი ასლან ფაშასთან ერთად მონაწილეობდა იკორთასთან ლეკების განადგურებაში. დეკემბერში ლეკები კვლავ შემოიჭრნენ, მაგრამ გივის მეთაურობით წლევთან ლეკები ამჯერად დამარცხებულან (სეხნია, 1913:-70-71). ისაყ-ფაშა, რომელსაც ოსმალებმა ქართლი ჩააბარეს სამართავად, ცდილობდა ქართლსა და კახეთში შეემცირებინა ლეკთა თავდასხმები, მაგრამ ისევ გრძელდებოდა თავდასხმები და რბევა. სეხნია ჩხეიძის ცნობით:,,დაარბიეს ლეკთა სომხითი. მოვიდა ამბავი ქალაქსა, შეჯდა ისაყ ფაშა, ჯარი ურუმთა და ქართველთა, დახუდენ ნიჩბისსა. მოვიდენ ლეკნი ხეკორძის თავს, წვერზე საყდართა. დიდი სიმაგრე იყო და იქვეითეს ქართველთა და ურუმთა ენგიჩართა, იყო სროლა დილითგან შუაღამემდინ. დაუმარცხდა ლეკთა“ (სეხნია,1913:71). შეთხელებული და დასუსტებული მოსახლეობა დაღესტნელ მთიელთა შემოტევებს ვეღარ იგერიებდა. ოსმალობის დროს მთიელთა თავდასხმებმა ქართლში სისტემატური ხასიათი მიიღო.

ქართლში ოსმალებისა და ქართლელების ბრძოლას ლეკების წინააღმდეგ ნაკლები ეფექტი ჰქონდა და ბოლოს გამოდიოდა, რომ ლეკების წინააღმდეგ მებრძოლი ოსმალეთი კონსტანტინეს თავის ფეხით უნდა მოეყვანა კახეთში, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა მის მიზანს. ამიტომ მოხდა, რომ კონსტანტინე, რომელიც ერთი მხრივ, თანმიმდევრული მებრძოლი იყო ლეკებისა და ოსმალების წინააღმდეგ, მეორე მხრივ, დროდადრო ლეკებთანაც ზავდებოდა, ან გზას აძლევდა მათ ქართლზე, რათა მომენტის შესაბამისად გამოეყენებინა ისინი ოსმალების წინააღმდეგ (ბოცვაძე,1968:153). სპარსეთის ერთგული კონსტანტინე კახი ლეკებს მარტო ოსმალების წინააღმდეგ როდი იყენებდა, ისინი ქართლის სამეფოში, შანშე ერისთავის წინააღმდეგაც მიმართა. ამ განუკითხაობის ჟამს აჯანყდნენ ქსნისხველები და არაგვისხველები. ისაყ ფაშამ დამსჯელი რაზმები შეუსია აჯანყებულებს. ქსნის ერისთავი შანშე იძულებული გახდა ოსმალებს დაზავებოდა: *„შეუხდნენ ქსნის ერისთავს შანშეს კახი ბატონი, ურუმთა ჯარი და ქართველნი, მრავალი სული დაატყვევეს, დასწვეს სოფლები, კლდე თუ კოშკი და მესერი, საცხენისი და ქვაბები, დააქციეს ციხე ვანათისა, ბოლოს შემოეხვეწა ერისთავი შანშე და შეირიგეს, შეუხდნენ სამაჩაბლოს, აიღეს ციხე სვერისა და დააქციეს გაღმა გამოღმა ორივ ციხე გარდიარეს მთა ოსეთისა, მიუხდნენ მუგუთსა. კოშკი იყო მაგარი და ადგილი კლდოვანი, შეექნათ სროლა, დაიხოცა თათარი არა მცირედი“* (სეხნია,1913:67).

საინტერესოა ცოტა მოგვიანებით, XVIII ს მეორე ნახევარში საქართველოში მყოფი გერმანელი მეცნიერის იოჰან გიულდენშტედტის ცნობები, იგი ლეკიანობის „ცხელ წერტილში„ – ქსნის საერისთავოში ცხოვრობდა :„ოძისსა და იალტოზას შორის მაღლობზე აღმოსავლეთით უნდა იყოს ასევე აოხრებული სოფელი ჭაშა. ილტოზის ახლოს, ქსნისა და ნარეკვავს შორის მიდის ჩვეულებრივი გზა ლეკებისა, რითაც ისინი არაგვიდან, მჭადიჯვარზე გავლით, მიდიან მთით ლამისყანამდე და ქრცხინვალამდე“ (გიულდენშტედტი,1962: 53). „ლეკიანობამ“ მოიცვა სრულიად ქართლ-კახეთი,სამცხე-ჯავახეთი, მთიანეთი.

სეხნიას მიხედვით,1732 წელს ლეკებმა სამოქმედო ასპარეზი გაიფართოვეს და უკვე სამცხე-ჯავახეთ-სომხითი , სააბშიო, საჩხეიძეო, ხარაგაული და სხვა ბევრი „სოფელი“ გაუძარცვავთ. სეხნია ჩხეიძის ამ ცნობას ვახუშტიც ადასტურებს. ოსმალეთის გავლენა ამიერკავკასიაში თანდათან ძლიერდებოდა. მომდევნო ხანებში ლეკები ქართლზე ისევ აძლიერებენ ლაშქრობებს. ამაში ცხადია კახეთის მეფის ხელი ერია, რომელსაც არ სურდა ისაყ-ფაშას გაძლიერება, რადგანაც იცოდა, რომ ოსმალებს კახეთის ხელში ჩაგდებაც სურდათ (ვახუშტი,1973:513-514). თავდაპირველად კახეთის მეფე, თავს არიდებდა ოსმალეთთან კავშირს, მაგრამ ბოლოს ისიც იძულებული გახდა მათი ბატონობა ეცნო. ოსმალები ბოლომდე ვერ ენდობოდნე კონსტანტინეს, ამიტომ გადაწყვიტეს მისი თავიდან მოშორება და ეს დაავალეს იუსუფ-ფაშას, ჯაყელთა გამაჰმადიანებულ შთამომავალს,ისყ ფაშას ვაჟს. იუსუფ-ფაშამ კონსტანტინე მუხანათურად მოკლა (სვანიძე, 1990:346). სეხნია მაჰმად ყულის ხანის მოკვლას 1732 წლით *ათარიღებს:„ამავ თვეს კჱ შემოეყარა კახი ბატონი უსუფ ფაშასა ბეჟან ბაღის იქით ის, იქით ეს, ცხენით გარდახდა კახი ბატონი, აქეთ ფაშა ჩამოხდა, მიესალმენ ერთმანეთს, გარდეხვია ფაშა, შეჯდა ცხენს, გაბრუნდა კახი ბატონი. ამის დროს უღალატეს და მოკლეს ოსმალთა კახ ბატონი, წაესივნენ კახთა, ამოწყვიტეს კახნი, ვინც გაიქცა - მორჩა. ჩავიდა ფაშა ყარაჯაღში, შემოეყარა სურხავი. ესე იყო ლეკი და ხლმით დაიჭირა შირვანი, გავიდენ გაღმა მხარსა აოხრეს გავაზი და შილდა “* (სეხნია,1913:72). მომდევნო ხანაში ლეკები ქართლზეც ლაშქრობენ. სეხნიას წყაროს მიხედვით კარგად ჩანს, რომ ისაყ-ფაშა და ყაზი-ყუმუხის მმართველი სურხაი ერთად მოქმედებდნენ კახეთისა და მისი მეფის წინააღმდეგ. დაღესტან-ოსმალეთის ურთიერთობის საკითხს, როგორც უკვე მიუთითეთ, სეხნია ჩხეიძე 1730-1738 წლებს შორის ათავსებს. მართალია ლეკთა თარეშები აქამდეც ხდებოდა კახეთის ტერიტორიაზე, მაგრამ მის შესახებ სეხნია ჩხეიძე დუმს. ჩვენი აზრით, აქ ერთგვარ გარიგებას უნდა ჰქონოდა ადგილი ოსმალების მიერ „გურჯისტანის“ მმართველად დანიშნულ ისაყ-ფაშასა და ლეკებს შორის, ლეკები ოსმალებისათვის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ კავკასიაში, ასე, რომ ისაყ-ფაშასა და ლეკების ურთიერთქმედების გარეშე „ოსმალობის“ ინტერესების გატარება შეუძლებელი იქნებოდა (გოგოლაური,2020:115).

1732 წელს ლეკებმა ააოხრეს ქსნის ხეობა, გომიჯვარი, ქსოვრისი. დახვდა მათ გივი ამილოხორი, ლუარსაბ თარხნიშვილი ოსმალთა ჯარის თანმხლებით დაამარცხეს ლეკები *„გარდაიარეს საციციანო და გავიდნენ იკორთას, დახუდა გორიდამ ჯარი და ამილახორი გივი, მოეშველა ასლან ფაშა ქალაქიდამ და აქედან ქართველნი, ამოსწყვიტეს ლეკნი, გაემარჯვა დიდად“,* ლეკებმა იმავე წელს დაარბიეს ქვემო ქართლიც (სეხნია, 1913:70).საქართველო-ჩრდილო-კავკასიისა და ირან-ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საყურადღებო ცნობები აქვთ თურქ ავტორებს: გურჯი ზადეს, ქუჩუკ ჩელები ზადეს. ორივე მათგანი XVIII ს. 20-30-იანი წლებში ქართლ-კახეთში განვითარებულ მოვლენებს ეხება. ქართული წყაროს სანდოობისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ოსმალური ნარატივი,

კერძოდ „თბილისის დაპყრობის წიგნი, გურჯი ზადეს კალმის ქმნილება, დაიწერა და შედგა ალეპოს ვალის - რეჯებ ფაშასათვის“. გურჯი ზადეს სიტყვებით, გივი ამილახვარს ოსმალებისადმი „ერთგულება ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი“ (გურჯიზადე,1975:36). ავტორი გულისხმობს ქართლისა და ოსმალთა ჯარის გაერთიანებულ დაპირისპირებას ლეკების წინააღმდეგ ოსმალობის პერიოდში. ოსმალების სამსახურში ჩამდგარი გივი ამილახვარი, როგორც მისი თანამედროვე ისტორიული ცნობებიდან ჩანს, რაც დრო გადიოდა ოსმალების ნდობასა და პატივს იმსახურებდა. ის მათ ეხმარებოდა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც სინამდვილეში იცავდა ქართლის მოსახლეობას, რადგან ლეკები უკვე მთელ ქართლ-კახეთს იყვნენ მოდებულნი. ისაყ-ფაშა, უსუფ ფაშა, ოსმან ფაშა (ქართლის გამგებლები 1727-35 წლებში) ოსმალ-ქართველთა ჯარით ამაოდ დასდევდნენ მათ მუხრანთან, ნადარბაზევთან, ნიჩბისთან, დიდგორთან, თელათგორთან, ქვიშხეთთან, სურამთან, წრომთან, მეჯვრისხევთან...ლეკთა სხვა რაზმები იმავე დროს საციციანოს,თრიალეთს,საბარათიანოს, ქიზიყს აწიოკებდნენ (ალიმბარაშვილი, 2013: -50-51). ახალციხის ფაშა ქართლის დაცვისათვის ღონისძიებებს ატარებდა. სეხნია ჩხეიძის ცნობით, ისაყ ფაშას აუშენებია: *„ციხე ავჭალისა, კოშკები დიღმის ბოლოდან ატენის წყლამდე თორმეტი, სადაც ფონი იყო ლეკის გამოსავალი“* (სეხნია,1913:73). ქართლში ლეკების მოძალებას ოსმალებიც აღუდგნენ წინ, რადგან მათი თარეში მოსახლეობას გადამხდელუნარიანობას ასუსტებდა. ოსმალთა მმართველებმა ლეკების შემოსასვლელ გზებზე დამცავი ციხე-კოშკების აგება დაიწყო. იგივე ისაყ ფაშა 1733 წ. მამუკა მუხრანბატონთან ერთად დასახელებულია მუხრანის გალავნის აგების უშუალო მონაწილედ. მისივე დაკვეთით აუგიათ გომის ციხეც (მეგრელიძე,1973:439).

ამ დროს იმერეთის სამეფოს მეფე ალექსანდრე V განაგებდა. 1732 წელს, მეფე ალექსანდრემ, ძალაუფლების გასაძლიერებლად და ფეოდალებთან მოკავშირეობის შესაქმნელად, ქორწინების გზას მიმართა. მეფემ ცოლად შეირთო ლევან აბაშიძის ქალიშვილი და პირველი ცოლისგან საკუთარი ქალიშვილი მამია გურიელს მიათხოვა. ამრიგად, ორ ძლიერ ფეოდალთან დანათესავებით გააძლიერა საკუთარი უფლებამოსილება (რეხვიაშვილი, 1989:163). მეფის მოწინააღმდეგე თავადები ოტია დადიანის მეთაურობით ცდილობდნენ მეფის ტახტიდან ჩამოგდებას და მეფის ძმის მამუკა ბატონიშვილის გამეფებას. იმერეთის მეფე და მისი მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ჩიხორთან დაუპირისპირდებიან. სეხნიას ყურაღების მიღმა, არც დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესები რჩება: *„შეიყარნენ დადიანი ოტია, რაჭის ერისთავი გრიგოლ, აბაშიძე ზურაბ. მაგრამ მეფემ შვილი გაგზავნა დავით ჯარითა, შეიბნენ ჩიხორს, ამა შებმაზე დადიანი და ძმა მისი კაცო მოჰკლა და კაცოს მსახურმა დადიანს თოფი ჰკრა და დაჭრა. ბძანებითა ღუთისათა გაემარჯვა მეფეს ალექსანდრეს, დარჩათ იმათი კაცი მეფეს ჯარს ათას შვიდასი, სიკუდილს გარდა. წაიყვანა მეფემ დადიანი დაჭრილი და აუჩინა ექიმები და გაამთელა“*(სეხნია,1913:72). ბრძოლა, ალექსანდრე V-მ და მისმა მომხრეებმა მოიგეს.

ოტია დადიანი დაიჭრა და მეფეს ტყვედ ჩაუვარდა ბრძოლის შემდეგ, მეფე ალექსანდრემ დაშავებულ დადიანს უმკურნალა. ჩხეიძე ჩიხორის ბრძოლას 1732 წლით ათარიღებს,ზოგიერთი წყარო კი -1734 წელს ასახელებს (ლორთქიფანიძე, მეტრეველი, 2007:257; სამსონაძე, 2020:309). ისაკ ფაშას ჩარევის შემდეგ, მეფესა და ოტია დადიანს შორის ურთიერთობა მოგვარდა. ოსმალეთს არ სურდა რეგიონში ძლიერი მეფე და ზოგჯერ, მხარს უჭერდა დიდგვაროვნებს და მეფის ძალას ასუსტებდა. საბოლოოდ, კი იძულებული იყო იმერეთის სამეფოში წესრიგი შეენარჩუნებია, რადგან სამეფოში დაწყებული პრობლემები ყველა ასპექტში იმპერიას აზარალებდა.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ნელ-ნელა ძლიერდება ირანი და ოსმალეთის წინააღმდეგ იწყებს ომს სამხრეთ კავკასიის კუთვნილი მიწებისთვის, ამ ამბავს სეხნია ასე იწყებს: „გაემარჯვა თამაზ ხანს ბაღდადს, მოკლეს სარასკარი ოსმან ფაშა, აიკლეს და მოსწყვიტეს ურუმნი. შემოადგა ციხესა ბაღდადისასა, შეწუხდენ შიმშილითა მყოფი ციხისა, შეურიგდა ბაღდადის ფაშა, მისცა პირი და ფიცი და მძევლები. დაანება რაც ყაენს მამული წართმეული ჰქონდა და გაგზავნა ხვანთქართან კაცი და ხონთქარმან აღარ დაანება“ (სეხნია,1913:73). 1735 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ირანს ოსმალეთთან შედარებით უპირატესობა ჰქონდა. შედეგად, მან იმერეთის სამეფოს მოსთხოვა დამორჩილება. მეფე ალექსანდრემ ამაზე უარი თქვა და არ შევიდა ირანის მმართველობის ქვეშ. ამასთან, მან კარგად შეაფასა ოსმალეთსა და ირანს შორის არსებული ბრძოლა. ოსმალეთს დაემუქრა, რომ ირანს დაექვემდებარებოდა და შედეგად იმერეთში ოსმალეთის ზეწოლა გარკვეულწილად შეასუსტა (ჩხატარაიშვილი, 1973-1:466).

1735 წლიდან „ოსმალობა“ კიდევ უფრო მძიმე „ყიზილბაშობით“ შეიცვალა. სეხნიას მიხედვით 1734 წლის ივლისში თამაზ ხანმა აიღო შამახია , 1735 წელს ირანელებმა ოსმალები განდევნეს აღმოსავლეთ საქართველოდან. შექმნილ სიტუაციაში ის ქართველები, რომლებიც თურქების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ახლა ირანელთა მხარეზე აღმოჩნდნენ, ხოლო ლეკები თავიანთი ძველი მოკავშირის ოსმალების მხარეზე. ისტორიკოსის ხედვა კონცენტრირებულია ქართლ-კახეთის მდგომარეობაზე და ქართველ დიდებულთა დამოკიდებულებაზე ახალი რეალობის მიმართ: *„წავიდა ქალაქიდამ უსუფ ფაშა მცირე ქართველთ ჯარი კახეთს, დაესხნენ თავს კახნი, ამოწყვიტეს ურუმნი, დარჩათ საქონელი ურიცხვი, გამოიქცნენ ფაშა და ვინცა ცხენს შეასწრეს, ახლდა ერისთავი შანშე, ამილახორი გივი, ყაფლანისშვილი ქაიხოსრო, თარხანი ლუარსაბ. ამავ ქ~კს სეკდემბერს შეიყარა ჯარი სერასკარისა, მიეშველა განჯიდამ ურუმთ ჯარი, მოვიდნენ შირვანს. გამოვიდა თამაზ ხან. შეიქნა ომი ფიცხელი, გაემარჯვა თამაზ ხანს. ამოსწყვიტეს ლეკნი და ურუმნი გაიქცნენ “* (სეხნია,1913:74). ქართლში ანტიოსმალური აჯანყება გივი ამილახვარის მეთაურობით იწყება, იგი თანხმდება ყიზილბაშებს დახმარებაზე და იწყებს მათთან ერთად ქართლის გათავისუფლებისთვის ბრძოლას. როგორ მოახერხა გამოცდილმა მებრძოლმა გორის ციხის აღება, ამაზე დაწვრილებით მოგვითხრობს სეხნია ჩხეიძე: *„ამავ ქ~კსა ღვინობის თვეს(1734 წ. ოქტომბერი) შემოადგა თამაზხან ციხესა განჯისასა,*

მოუვიდა ქართველთ ბძანება და აშლა ურუმთა. დაუწყეს ბრძოლა, შეიყარა ჯარი ამილახორმა გივმა, მოვიდა ბერბუკს ღამით, დაიქვეითა თვითონ და მუხრანის ბატონმა მამუკამ,გორელთ მისცეს პირობა, შევიდნენ ღამით და დაიმალა ჯარი სახლებშია, ვერ იგძნეს ურუმთ. ციხეებში მიუჩინეს ოთხნი გამორჩეული ვაჟკაცი, მისცეს საბოძვარი, ვითაცა ურუმნი ხეებსა იდევდნენ, ვინცა აუტანდათ არას უკითხევდენ. გათენდა, ამ ოთხმა კაცმა შეიდვეს ძელები მხართა, იყო ნიშანი ამათი, რომ ციხის კარზე ერთი იქით დაუდვან, ერთი აქეთ, რომ ციხის კარი ვეღარ მოუგდონ, გააღეს კარი ციხისა და გამოვიდნენ ციხიდამ ურუმნი, ჩამოვიდნენ ქალაქსა გორისასა, აიტანეს ძელები და დააგდეს კართა ზედა. იდროეს, გამოვიდა დამალული ჯარი, თურე ყარაულმან იგრძნა, მოასწრეს კარი ქვეითგალავნისა, შეიქნა ცემა გორში. ამ ოთხთა კაცმა გაიკრეს სატევარებს ხელი, თურე დამალული ჰქონდათ, შეუხდენ ციხეში, მოკლეს ერთი ურუმი, მიუხუდნენ ენგიჩარ აღას, დასჭრეს, გამოვიდნენ მშვიდობით, ჩამოვიდნენ კარსა გალავნისასა მოკლეს მცველი კარისა დალეწეს კლიტენი გამოვიდნენ უზიანოთ და ვინცა ვინ ციხიდამ ურუმნი ჩამოვიდნენ ამოსწყვიტეს, დაიჭირეს.დაყენა ჯარი გორსა " (სეხნია,1913:74-75). როგორც სეხნია გადმოგვცემს, გივი ამილახვარი თავდაპირველად გორის ციხეს მიადგა,ამოწყვიტა იქ ჩამდგარი ოსმალთა ჯარი და ციხე დაიკავა. გივი ამილახვარმა გორის ციხეში ჯარი ჩააყენა. გამარჯვების მაცნედ მან შაჰის სარდალთან კაცი გაგზავნა და ოსმალთა მოკვეთილი თავები გაატანა. მცირე ხნის შემდეგ გივიმ და ყიზილბაშებმა თბილისის განთავისუფლება სცადეს, „დადგნენ გლდანს", მაგრამ დამარცხდნენ. გივი გორში დაბრუნდა და აქედან თავს ესხმოდა ბორჯომის ხეობასა და ახალციხეში დაბანაკებულ ოსმალებს *„შემოადგა ურუმთ ჯარი სადგერსა, გამოვიდნენ ავლიშვილები და გააქციეს ურუმნი და ამოსწყვიტეს"* (სეხნია,1913:75). ვახუშტი უფრო მოკლედ გადმოგვცემს ამ ამბავს: *„გივი ამილახორი შეეტყუა გორის ციხეს ოსმალთა და მოსრნა იგინი და დაიპყრა ციხე"*(ვახუშტი,1973:514). ორივე ისტორიკოსი ამ მოვლენას დაახლოებით 1734 წლით ათარიღებენ.

ოსმალთა ლაშქრის დამარცხების შემდეგ ნადირმა თეიმურაზ მეფე და ქართლ-კახეთის თავადები ერევანს მიიწვია. ყმები მორჩილებით ეწვივნენ ახალ მბრძანებელს. ნადირმა უმრავლესობა მათგანი დააპატიმრებინა...ნადირის ბრძანებით ალექსანდრემ (თეიმურაზის ძმისწული, დავითის ძე-ნ.ბ) თბილისს რვა ათასი თუმანი ხარკი შეაწერა. ამას გარდა სამი ათასი თუმანი ფული და სამი ათასი ხარვალი ხორბალი (75000 ფუთი) გლეხობას გადაახდევინა. ეს ხარკი და ორი ათასი მოლაშქრე ალექსანდრემ ნადირს მიართვა. ასე დაიწყო ქართლ-კახეთში ,,ყიზილბაშობა". ოქტომბერში 1735 წელს ნადირი ერევნიდან თბილისისკენ წამოვიდა. თან მოჰყავდა თეიმურაზ მეფე და ქართლ-კახეთის თავადები. გზაში ქართველმა პატიმრებმა დრო იხელთეს და გაიქცნენ. თეიმურაზ მეფე კახელებით ფშავში გაიქცა; ქართლის თავადები ზოგი იმერეთს, ზოგი რუსეთს გადაიხვეწა, ზოგი კიდევ მიუვალს ციხეებში გამაგრდა. ამრიგად ქართლ-კახეთი ისევ აჯანყებამ მოიცვა (ბე-

რძენიშვილი,1973:321-322). ზოგიერთი მათგანი, კერძოდ,ისინი ვინც ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყების მეთაურები იყვნენ, მათ შორის, გივი ამილახვარიც დააპატიმრეს (მამისთვალიშვილი,2019:483). სეხნია ჩხეიძის მიხედვით, შაჰ-თამაზის მიერ ამილახვარის დაპატიმრების მიზეზი ყოფილა ის რომ შაჰმა ამილახვარს ქალიშვილი სთხოვა და უარი *მიიღო:„გაუწყრა და დაიჭირა. ამისთვის ქალი ეთხოვნა, ვერ მისცა. რა დაიჭირა და უპატიოდ გახადა, დაიბარა და ჩაგვარა ქალი, მაგრამ აღარ გამოუშვა“* (სეხნია,1913:76). ამილახვარმა ბოლოს თავისი ქალიშვილი შაჰს მისცა, მაგრამ ქართველი დიდებული მაინც ტყვეობაში დატოვა, როგორც ჩანს აქ უფრო სხვა მიზეზთან გვაქვს საქმე. კ. კუციას ვარაუდით, შაჰ თამაზ II-ის სარდალი თამაზ ყული -ხანი (შემდეგში ნადირ -შაჰი) ეჭვობდა, რომ ქართველ დიდებულებს კავშირი ჰქონდათ ვახტანგ VI-სთან, რაც უნდა ყოფილიყო მათი დაპატიმრების მიზეზი (კუცია, 2002:120).

სეხნია მიხედვით 1735 წლის ოქტომბერში თამაზ-ხან II თბილისისკენ მოდის და დატყვევებული ქართველი დიდებულებიც წამოიყვანა, მაგრამ *,,გაჰპაროდა სომხითიდამ ამილახვარი გივი, მუხრანის ბატონი, ავალისშვილი ქაიხოსრო, მივიდნენ თავთავისად, ამილახვარი წავიდა იმერეთს, მუხრანის ბატონი რუსეთს. იწყინა ეს თამაზ ხან, დააქცია ციხე გორისა, ქალაქს თაბორი. გაუსივა ჯარი არაგვის ერისთავს ბარძიმს “*(სეხნია,1913:78). ამილახვარმა იმერეთს შეაფარა თავი, სხვები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. ნადირმა ქართლი სეფი-ხანს ჩააბარა, მას დაევალა აჯანყებული ქართველების წინააღმდეგ მოქმედება, ყიზილბაშური ჯარით. ლეკები მომდევნო 1736 წლის ოქტომბერში ისევ დალაშქრავენ ზემო ქართლს. აბდულა ბეგი ქართველთა და ირანელთა ჯარით დაედევნა ლეკებს ზოგი დახოცა, ზოგმა კიდევ გაქცევით უშველა თავს (ჩხეიძე, 1913:81).

ნადერ ყული ხანი ხედავდა, რომ სეფიანთა დინასტიამ დაკარგა არა მხოლოდ ძალაუფლება, არამედ ავტორიტეტიც დიდგვაროვანთა დიდ ნაწილში. მან გამოიყენა თავისი სამხედრო წარმატებები და ამის შედეგად მოპოვებული ავტორიტეტი და 1736 წლის იანვარში, მუღანის ველზე მოიწვია ყრილობა, სადაც მოწვეულები იყვნენ იმამები, მოჯთაჰედები, ყადიები, ბეგლარბეგები ხანები და სხვ. ყურულთაის ესწრებოდნენ ასევე ქრისტიანები, მათ შორის ქართველები. მუღანის ველზე გამართულმა ყურულთაიმ ოფიციალურად გააფორმა ეს რეალური მდგომარეობა, ლეგიტიმური სახე მისცა თამაზ-ყული-ხანის მბრძანებლობას ირანში – აღნიშნავს კარლო კუცია (კუცია 2002, 122). ქართველი ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე ამ მნიშვნლოვან მოვლენაზე ყურადღებას ამახვილებს: *„ამავ ქ~კს უკდ [1736], მუღამში შეიყარა ერანის ჯარი, ეს ვინც ქართლიდამ წავიდნენ, ჰქმნეს ყრილობა და ყაბული თამაზხანის ყეენობისა და დაჯდა ყაენად შაჰ თამაზ ხან“* (სეხნია,1913:79). 1736 წელს არზრუმში ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ოსმალეთმა სცნო ირანის უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე.

აქედან მოყოლებული XVIII საუკუნის 40-იანი წლების დამდეგამდე დაღესტან-ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ სეხნია ჩხეიძე არავითარ ცნობებს აღარ გვაწვდის (გოგოლაური, 2020:124).

ამის შემდეგ, მოვლენები რადიკალურად განვითარდა. ნადირ შაჰმა ქართველი დიდებულები საქართველოში დააბრუნა და თან დააკისრა 3 ათას სამასი თუმანი, ხუთას შეიარაღებულ ჯარისკაცს თავიანთი ოჯახებით უნდა გაემაგრებინათ თბილისი. ქართლის თავადებმა ვერ შეძლეს ამ მოთხოვნების შესრულება. შანშე ქსნის ერისთავმა, გივი ამილახვარმა, ვახუშტი აბაშიძემ თარხან ლუარსაბმა და მისმა ნათესავებმა, ასევე მთლიანად ზემო ქართლმა ყიზილბაშ სარდალს, სეფიხანს თხოვეს: „როგორც სხვის ყაენისათვის გვიმსახურია, ან სამსახური გუდებია, ისე გვიმსახურეთ, ხელმწიფის დიდი ხნის ყმანი ვართო.“ მაგრამ უარი მიიღეს. სეხნია ქართველთა შორის განხეთქილებაზეც ამახვილებს ყურადღებას: *„გაეცალა ამ-ხანაგებს არაგვის ერისთავი ბარძიმ, სულ ციციანი, სულ საბარათაშვილო მიუდგნენ ყიზილბაშთა“*(სეხნია,1913:80). წყაროდან ჩანს რომ, ბარძიმ არაგვის ერისთავი, ციციშვილები და ბარათაშვილები ყიზილბაშებს მიემხრნენ. გივი ამილახვარი კი იწყებს ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყებას. ყიზილბაშებმა რამდენჯერმე შეიჭრნენ ქსნის საერისთავოში. კეხვში სამჯერ დაესხნენ გივი ამილახვარს, მაგრამ სამჯერვე გივიმ გაიმარჯვა და ყიზილბაშები დაამარცხა. პარალელურად თავს ესხმოდნენ სააბაშიოს, საჩხეიძოს და სურამის ხეობას, დაწვეს და გაძარცვეს საფალავანდისშვილო მამულები, მაგრამ აჯანყებულ ქართველებთან წარმატებას ვერ მიაღწიეს, ციხე-სიმაგრეები დიდად ვერ დააზიანეს (სეხნია,1913:80). მძიმე ხარკის გამო ქართლის მოსახლეობამ დაიწყო ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყება, ეპიცენტრად ქსნის საერისთავო გადაიქცა. დამარცხებული ქართლის გამგებელი სეფი ხანი გადაწყვეტს დაპირისპირებულ მხარესთან მოლაპარაკება გამართოს „იმავ დღეს ფხვენის წავიდნენ. დაიწყო ლაპარაკი, ვინც უკუმდგარნი ქართველნი იყუნენ შეურიგდნენ ფიცითა საშინელითა. აიყარა სულთანი ფხვენისიდამ, ჩავიდა ხელთ-უბანს“ (სეხნია, 1913:81). აქ მიიწვია კახთბატონი თეიმურაზი, გივი ამილახვარი, კახთ სახლთუხუცესი გივი ჩოლოყაშვილი, ქიზიყის მოურავის ძმა თამაზი, ბარძიმ არაგვის ერისთავი, ქაიხოსრო ჩერქეზიშვილი, თარხანი ლუარსაბი. ყველანი მოტყუებით დაატყვევა თბილისის ციხეში (სეხნია,1913:81). ამ მოვლენებზე სეხნია წყაროს სანდოობას ადასტურებენ XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსები ომან ხერხეულიძე, ვახუშტი ბატონიშვილი. ომან ხერხეულიძე ფხვენისის მოვლენებს ასე გადმოგვცემს: „1736 წელს კი ნადერ შაჰმა ქართლში სეფი ხან სარდალი გამოაგზავნა, რომელმაც თეიმურაზს კახელებისა და ქართლელების სოფელ ფხვენისში შეკრება მოსთხოვა, სადაც თეიმურაზს უღალატეს (გივი ამილახორმა, არაგვის ერისთავმა ბარამმა, თარხანმა ლუარსაბ, ჩოლოყაშვილმა გივიმ, ქიზიყის მოურავმა ქაიხოსრომ). ყიზილბაშებმა შეიპყრეს მოღალატეები და სპარსეთში წაიყვანეს. შემდეგ კი შეიწყნარეს ისინი“ (ხერხეულიძე 1989, 40). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაც თითქმის იდენტურია, *„ამან სეფი ხან მოიტყუვნა გორს ქართველნი, შეიპყრა თეიმურაზ, გივი*

ამილახორი, ბარძიმ ერისთავი და სხვანი ხოლო შანშე ივლტოდა და წარუვლინა ისპაჰნს შაჰნადირს. ხოლო მან არა რაჲ ავნო და წარიყვანა ყარდაარს: შემდგომად მისცა ხანჯალხანს ხანობა ქართლის, წარმოატანა ქართველნი და გამოუტევა. ხოლო თჳთ აღიღო ყანდაარი და წარვიდა ინდოეთს“ (ვახუშტი,1973:515). ყიზილბაშების წინააღმდეგ მებრძოლთა შორის შეურიგებლობით გამოირჩეოდა შანშე ქსნის ერისთავი და გივი ამილახვარი ყიზილბაშთა მდგომარეობა ქართლში გართულდა. შანშე ქსნის ერისთავი გაქცევას მოახერხებს *„ვერ დაუდგა შანშე და ივლტოდა დედაწულით იმერეთს და მუნიდამ რუსეთს“*(ვახუშტი,1973:516). დანარჩენი დატყვევებული დიდებულები სეფი ხანმა ირანში ნადირ შაჰთან გაგზავნა. სეხნიას ცნობით, შაჰსეფი დაბრუნდა გორში და ნაიბად დანიშნა აბდულბეგი, ძე მეფე იესესი (სეხნია, 1913:81). ამის შემდეგ, შანშე ბრუნდება ქართლში და საგანგებოდ გაამაგრებს ქსნის საერისთავოში ციხე-სიმაგრეებს და ძირითადად, პარტიზანული თავდასხმებით უსწორდებოდა ყიზილბაშებს. ნადირ შაჰმა ქართლი უბოძა აბდულაბეგს და „დაარქვეს არჩილ“, კახეთი ალი მირზას (იმამ ყული ხანის ვაჟი, ალექსანდრე). შეიწყალა თეიმურაზ II, არაგვის ერისთავი ბარძიმი, ამილახვარი გივი, თარხანი ლუარსაბ, დაასაჩუქრა ისინი, როცა ნადირ-შაჰი ყანდაჰარში გაემგზავრა, ჩამოთვლილი დიდებულები თან წაიყვანა (სეხნია,1913:82).

ლეკებისათვის კი სულ ერთი იყო, ქართლში ყიზილბაშები იბატონებდნენ, თუ ოსმალები, მათთვის ყველაზე მისაღები მტრის ძალმომრეობით დაძაბუნებული და წინააღმდეგობის უნარს მოკლებული ქვეყანა იყო. ამჯერად მათ სპარსელების წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა და არც ამ ეტაპზე დააყარეს ქართლ-კახეთს ხეირი. დაეცნენ ყელქცეულს, დირბს, ხვედურეთს, ბებნისს, დუშეთს, აიკლეს და უამრავი ტყვე-ნადავლი წაიყვანეს (ალიმბარაშვილი,2013: 51). აჯანყებას კვლავ ქსნის ერისთავი შანშე ჩაუდგა სათავეში. ირანის მბრძანებელმა შანშეს სხვა ქართველი ფეოდალები – გივი ამილახვარი,მუხრანბატონი და სხვები დაუპირისპირა. 1738 წელს ნადირ-შაჰმა საქართველოში დააბრუნა დატყვევებული ქართველები, მათ შორის გივი ამილახვარიც და ქსნის საერისთავო გადასცა შანშე ერისთავთან დასაპირიპირებლად *„მისცა გივის ამილახორს ქსანი და ვექილობა ქართლისა“* (ვახუშტი,1973:518). ყიზილბაშთა ბატონობის სიმძიმე იწვევდა გასაჭირში მყოფ ქართველი მოსახლეობის კიდევ უფრო უკმაყოფილებას, ამას ემატებოდა ნადირ შაჰის მიერ დაწესებული უზარმაზარი გადასახადი და ბეგარა. აჯანყების მეთაურად ისევ გივი ამილახვარი გვევლინება. ვერც ხანჯარ-ხანმა , რომელიც ქართლის ახალ გამგებლად დაინიშნა „თეიმურაზ კახი ბატონი კახეთს და ხანჯახან ქართველნი ქალაქს“ (სეხნია ,1913:84). ვერ დაამშვიდა ქვეყანა. ყიზილბაშთან ბრძოლებს თან სდევდა ლეკთა თარეში და ურთიერთდაპირისპირება. ასე რომ „შანშეს ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ ჩქარა ქართლის თავადების ურთიერთ შორის ბრძოლად იქცა. შანშე ლეკებით საამილახოროს აწიოკებდა, ამილახორი ყიზილბაშებით ქსნის ხეობის გლეხებსა სპობდა და ორივენი კი ქართლის გაოხრებასა ჩიოდნენ“- (ბერძენიშვილი,1973:326).

სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ 1739 წლის მარტში, ნადირ-შაჰის ინდოეთში ლაშქრობის, გადმოცემით მთავრდება, მაგრამ მას წინ უსწრებს 1739 წლის მაისში *„ერთი საკვირველი და კაცთაგან ჭკუა მიუწვდომელი“ მოვლენის შესახებ თხრობა:,,ცა მოწმენდილზე, ნათელი დიდძალი, რომ მთვარის შუქი აღარა ჩნდა, ვიდრე დასავლეთამდე განათლდა ყოველი ქუეყანა, რა განქარდა, ერთი ასეთი დაიქუხა, რომ ქვეყანა შესძრა, არც ცის გახსნა იყო, მაგრამ ნათლით ნახევარ ცა ეჭირა, მთა და ბარი სულ განანათლა. ეჰა საკვრველთ მოქმედსა ღმერთსა“* (სეხნია,1913:84-85). სეხნია, როგორც ქვეყნის გულშემატკივარი, აქ მიმართავს გადატანითი მნიშვნელობის მეტაფორას ძნელად წარმოსადგენი მომავლის დასანახად.

სეხნია ჩხეიძის თხზულება 1739 წლამდე მოდის, აქედან გამომდინარე მისი გარდაცვალება XVIII საუკ-ის 40-იანი წლების დასაწყისში ივარაუდება. თ. ლაცაბიძის განმარტებით:„პაპუნა ორბელიანის თხზულების გვიანდელ (1846 წ.) ხელნაწერში, რომელიც ფარნაოზ ბატონიშვილის დაკვეთით არის გადაწერილი, პირდაპირ არის მითითებული, რომ „ვინადგან, ვიდრე აქამომდე აღწერილი იყო ამბავნი ესე ქართლისანი, აღმწერის ამისა ჩხერისძე (ჩხეიძე) სეხნიასაგან, და ვეღარ აღეწერა შემდგომად ამბავნი და მომკვდარიყო“ (ლაცაბიძე, 2016: 316). პაპუნა ორბელიანი კი თავის თხზულებას 1939 წლის ივლისში მომხდარი ამბით იწყებს.

დასკვნა. ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში სეხნია ჩხეიძემ პირველმა შეძლო, მარტივი ენით მოვლენების ქრონოლოგიურად გადმოცემა. თავის მხრივ, დახვეწა და ახლებურად გამართა ისტორიის გაგება და რეალურად შეაფასა ფაქტები. სეხნიას თხზულების ქრონოლოგიური ჩანაწერების სიზუსტისა და სანდოობის ხარისხი დადასტურდა სხვა ქართული და უცხოური წყაროების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, მიმოვიხილეთ ამ ისტორიული წყაროების ურთიერთდამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის ასახვის თვალსაზრისით, რადგან ვფიქრობთ, საჭიროა საკვლევი თემის ირგვლივ ყველა მონაცემის სისტემატიზაცია და გაანალიზება, რაც ისტორიკოსს ეხმარება ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის უკეთ რეკონსტრუქცია - რეპრეზენტაციის დროს.

სეხნია ჩხეიძის თხზულება „ცხოვრება მეფეთა“, არამარტო მარტო ისტორიული წყაროა, იგი ამავე დროს, XVII-XVIII საუკუნეების ქართული საისტორიო ნააზრევის ნიმუშია, რომელშიც ასახულია მემატიანის პერსპექტივიდან დანახული ეპოქის ისტორიული ფაქტები და მოვლენები, ისტორიის მიზნის, წერის სტილისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების კონკრეტული საფეხური. ისტორიული კვლევის დროს, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებულ ისტორიული მოვლენებს თანაბარი მნიშვნელობა აქვთ და სხვა ჟანრის ისტორიულ თხზულებებთან ერთად ფართოდ გამოიყენება, როგორც უმნიშვნელოვანესი საისტორიო წყარო.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ა) წყაროები:

გიულდენშტედტი,1962: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა;

ვახუშტი,1973: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირიტადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;

პაპუნა,1981: პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;

სეხნია,1913: სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა;

ხერხეულიძე, 1989: ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქიაშვილმა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;

ბ) სამეცნიერო ლიტერატურა:

ალიმბარაშვილი, 2013: იოსებ ალიმბარაშვილი. ლეკიანობა“ და ქართლ-კახეთის სამხედრო-თავდაცვითი სისტემა XVIII- XIX ს. 30-იანი წლები, თბილისი;

ბერძენიშვილი, 1973: ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;

ბოცვაძე,1968: ბოცვაძე, 1968: ბოცვაძე თეიმურაზ , საქართველო-დაღესტანის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIIIსს) თბილისი;

გოგოლაური, 2020: გოგოლაური, 2020. გოგოლაური რომან,სეხნია ჩხეიძის ცნობები დაღესტან-ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ, ტრაპიზონი;

კუცია, 2002: კარლო კუცია. ნადირ-შაჰი და საქართველო, კრებული: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ტ. III თბილისი, ქრონოგრაფი;

ლაცაბიძე, 2016: თამაზ ლაცაბიძე. სეხნია ჩხეიძის ბიოგრაფიისათვის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული N 10, 2016.

ლორთქიფანიძე, მეტრეველი, 2007: მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, საქართველოს მეფეები, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“;

მამისთვალიშვილი,2019: მამისთვალიშვილი, ელდარ, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (ბრძოლა სარწმუნოებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისათვის. XVI-XVIII სს). თბილისი;

მეგრელიძე, 1973: დარეჯან მეგრელიძე. ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ-საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, თბილისი:1973 გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო";

რეხვიაშვილი, 1989: მიხეილ რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.), თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

სამსონაძე, 2020: სამსონაძე, მ., დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოს ისტორია საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე. ტომი III, თბილისი. გამომცემლობა „პალიტრა L";

სვანიძე, 1990: სვანიძე, 1990: სვანიძე მიხეილ,საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები , XIV-XVIII სს; გამომცემლობა „მეცნიერება";

შენგელია, 1974: ნოდარ შენგელია. XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბილისი.„თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა";

ჩხატარაიშვილი, 1973: ქველი ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან, საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო";

Потто,1885: В. Потто. Кавказская война въ отдельныхъ очеркахъ, эпизодахъ, легендахъ и биографияхъ. т. I. От древнейшихь времень до Ермолова. вып. I. СПБ., 1885.